MES 4 23 00001.1/96

06/07/2023

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
ბრძანება

N1.1/96

შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 და 2^1 პუნ ქტების, 5^2 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი” ქვეპუნქტისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 30 ივნისის N797416 კორესპონდენციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, განისაზღვროს შემდეგი ვადები:
ა) დაწესებულებების მიერ რიგგარეშე მობილობის გზით, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის, აგრეთვე სწავლის საფასურის შესახებ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის წარდგენის ვადა - **2023 წლის 10 ივლისიდან - 14 ივლისის ჩათვლით;**
ბ) რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის ვადა - 2023 წლის 2 აგვისტოდან - 7 აგვისტოს **ჩათვლით**;
გ) სტუდენტის რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანების გამოცემის ვადა - არაუგვიანეს **2023 წლის 17 აგვისტოსი**.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ადგილების თავისუფალი რაოდენობა გამოითვლება ამ დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობისა და **2023 წლის 07 ივლისის** მდგომარეობით უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის, დაწესებულების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარებში წარმოდგენილი მისაღები ადგილებისა და მიმდინარე სასწავლო წლისათვის დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

3. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების გზით.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის **უმაღლესი და პროფესიული განათლების სამსახურის უფროსის** 2023 წლის 6 ივლისის N836348 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი